საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

შაბათი, 27 სექტემბერი 1919 წ. № 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა

გაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში მიწერილი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კ ა ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. 3 თვით **130** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა **50** მ., 12 საათის შემდეგ **60** მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ანა სტეფანეს ასული ოცხელისა დები: სოფიო ივანეს ასული ჰოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული საკაშვილისა, ძმები: სიმონ დავით და კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, რძალი ლუკრეცია ანტონის ასული ოცხელისა და სიძე პეტრე ზაქარიას ძე საკაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 27 სექტემბერს, დილის 9 საათზე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

იოსებ ივანეს ძე ოცხელის

სულის მოსახსენებლად. 2—2

მეუღლე კატო, შვილები ილარიონ მეუღლით ლოლათი, ტატიანა მეუღლით, სონია, აკაკი, ვასო, ვალოდია და სხვა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ კვირას, 28 სექტემბერს ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

მოსე (მასიკო) ნიკოს ძე ჟღენტის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

მეუღლე ნინა ალექსანდრეს ასული მიქელაძისა, მშობლები სოფიო კონსტანტინეს ასული და ალექსანდრე ნიკოს ძე მიქელაძეები, ძმა კოწია და მარიამი მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ 28 ენკენისთვეს (ახალი სტილით) დღით კვირას დილის 11 საათზე ს. კულაშში ჯვარცმის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ექიმის

ვალერიანე (სიტუ) ალექსანდრეს ძის მიქელაძისა. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლა ქსენია ნიკო მიქელაქის ასული კორძაიასი შვილებით, ძმა კოწია ელიზბარის ძე, რძალი მარგარიტა ლუკას ასული შვილებით და სიდედრი ანიჩქა ალექსის ასული მიქელაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებას

გრიგოლ (კვანჩილია) ელიზბარის ძე გელრძალაძისა

დაკრძალვა მოხდება კვირას 28 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოასვენებენ გოსპიტლის ქუჩიდან მიქელაძის სახლი. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე.

1—1.

იონა ნიკოს ძე ჭითავა ოჯახობით ელისაბედ ნიკოს ასული ნარსიასი შვილებით აკვილინა ნიკოს ასული კაპარავასი შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 28 სექტემბერს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დედის

როდამ ვასილ გვახარიას ასული ჯითაგას

სულის მოსახსენებლად. 1—1

ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ რ ო მ

მარიამ უაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიას

მინიჭებული აქვს სრული უფლებები, რომლის ძალით ეს სასწავლებელი გათანასწორებულია მთავრობის გიმნაზიასთან.

შემთხვევით იყიდება ხელსაყრელ ფასათ საუკეთესო ფაბრიკის

პიანინო.

მისამართი: არქიელის მთა, ნადარეიშვილის სახლი. 3—3.

ჩრდილოეთის საფრთხე.

ინგლისელებმა ჩვენი ქვეყანა დასტოვეს: მათი მცირე რაზმი ლა დარჩა ბათუმში.

ბათუმსვე მოდგომიან დენიკინის კრეისერი და სხვა გემები, რომელნიც მზად არიან გადმოსხან ჯარი, როგორც კი ინგლისელები ნავსადგურიდან გავლენ.

ჩრდილოეთის ფრონტი, მართალია, მერყევია: ხან დენიკინისა და კოლჩაკის ჯარები მიიწევენ წინ, ხან საბჭოთა ჯარები.

მაგრამ ერთი რამე უნდა გვახსოვდეს. საბჭოთა რუსეთი მოწყვეტილია ზღვებსა და მაშასადამე მსოფლიოს და მხოლოდ ძველი საგზლით საზრდოობს, რომელიც რასაკვირველია დაუშრეტელი არ არის.

დენიკინსა და კოლჩაკს კი ანტანტისა და ამერიკისაგან ეძლევა დახმარება განუწყვეტლად.

მაშასადამე საბჭოთა ჯარების თვითოეული წინ წაწევა მხოლოდ აგვიანებს კატასტროფის, საფრთხის მოვლინებას.

დიალ! პოლიტიკური წინმხედველობა მართებს მეტადრე იმას, ვინც ერის ბედს განაგებს, რომ დროზე თადარიგი დაიჭიროს.

ამისათვის კი საჭიროა არა შინაურის, სამოქალაქო ბრძოლის გაღვივება, არამედ სამოქალაქო ბრძოლის შეწყვეტა, ეროვნული ერთობა ანუ კონსოლიდაცია.

საჭიროა მთავრობამ ხელი აიღოს ქალაქებში სოციალისტური რეფორმების განხორციელებაზე, ვინაიდან ეს დიდ არევას წარმოშობს

საჭიროა მეჩერდეს სოფლადაც მიწების ჩამორთმევა, მით უფრო, ეს ჩამორთმევა ხშირად მეტად ცუდ შედეგს იძლევა.

მაგალითად ოკრიბაში ხალხმა ტყეები, რომელნიც სახაზისოდ შეირიცხენ, გაჩეხა და ქვეყანა გააველანა!

ასე მოხდა ბევრგან სხვაგანაც.

იმავე დროს მთავრობამ რკინის გზის მუშათა კავშირების—მეტადრე მტვირთველ მუშათა კავშირების—გადამეტებული უფლებანი უნდა შეზღუდოს, რომ საქონლის იაფად მოტანა და გატანა შესაძლებელი შეიქნეს. თვინიერ ამისა ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი კიდევ უფრო გაიზრდება.

დღიური.

გამოქცეულმა მოხალისეებმა დერბენტს ცეცხლის მფრქვეველები დაუშინეს. ქალაქს რამოდენიმე ადგილას ცეცხლი გაუჩინეს.

ადმირალ კოლჩაკმა გამოსცა გრამოტა, რომლის ძალით უნდა მოწვეულ იქნეს საერობო სახელმწიფო ყრილობა.

ჩრდილოეთ-დასავლეთ რუსეთის მთავრობას პეტროგრადის რაიონში ბოლშევიკებთან საბრძოლველათ ადმირალ კოლჩაკმა გადასცა 260 მილიონი მან.

მოკავშირე სახელმწიფოების დელეგატებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც ეხება იარაღის და სამხედრო ქონების გაყიდვას.

შვეიცარიის პრეზიდენტი მომავალ არჩევნებში თავის კანდიდატურას აყენებს.

დასასრულ კვლავ განვიმეორებთ: აუცილებელია რეგულიარული ჯარი.

მთავრობამ, სამწუხაროთ, რეგულიარულ ჯარს დედაბოძი გამოაცალა: მრავალი აფიცერი დაითხოვა.

სჯობდა, ჯარი ცოტა ყოფილიყო აფიცერი კი ბევრი; მაშინ პატარა ჯარის გაშლა დიდ ჯარად საჭიროების დროს—ადვილი იქნებოდა.

მთავრობამ ადმინისტრაციის თვითნებობას საზღვარი უნდა დაუდვას, რომ დაწყნარებული ხალხი ტყვილაუბრალოდ არ მოიმდუროს.

მაშასადამე უდანაშაულო მოქალაქეთა დატუსაღებისა და ტერორის სისტემაზე ხელი უნდა აიღოს და რესპუბლიკაში უფლებრივი მდგომარეობა უნდა დაამყაროს და კანონიერება უნდა განამტკიცოს.

ერთი სიტყვით, მთავრობამ ხალხში ყოველგვარი უკმაყოფილების მიზეზი უნდა მოსპოს და სამოქალაქო მშვიდობას გზა უნდა გაუკვლიოს.

შინ თუ ერთად ვიქნებით, მტერსაც ერთად დავხვდებით.

ეს უნდა ვიცოდეთ!

აი მაგალითი. დაღესტნის მცხოვრებნი ყველანი ერთად აღდგენ და რამდენსამე დღეში განსწმინდეს დენიკინის ჯარისაგან თავისი ქვეყანა.

ელვის სისწრაფით მოხდა ეს ამბავი.

და ამის მიზეზი ის არის, რომ დაღესტანში კლასთაშორისო, სამოქალაქო, ძმათა ომი კი არ არის; არამედ, პირიქით, ყველა ერთად, ძმურად შეერთებულია საერთო მტერთან ბრძოლაში.

მაშასადამე ეროვნული ერთობა კლასთაშორისო ბრძოლის ნაცვლად!

აი რა გიხსნის განსაცდელისაგან.

ვასილ წერეთელი.

პრესა.

„კანონიერებისაკენ“!

საოცარი ხალხია ჩვენი სოც. დემოკრატები. მართველ პარტიას და მის ორგანო „ერთობას“ განცვიფრებაში მოყავს მკითხველები. სწერენ

„სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დემოკრატი და წრფელი რევოლიუციონერიც ვერ შეეთვისა იმ აზრს, რომ კანონიერება მისთვის გამოსადეგია“.

უნდა მოვახსენოთ „ერთობას“, რომ ზოგიერთი დემოკრატი და უფრო სწორად რომ ვსთქვათ მთელი დემოკრატია მიტომ ვერ შეეთვისა არსებულ კანონებს, რომ ეს კანონები მიმართულია სწორეთ ამ დემოკრატიის წინააღმდეგ.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოც.-დემოკრატები მარტო თავისი პარტიისათვის მოქმედებენ. ისინი არ უწევენ ანგარიშს ფართო მასსას, თორემ ხონის საქმეებსაც არ მონათლავდენ კონტრ-რევოლიუციათ, როგორც ამას „ერთობა“ სწერს.

ჩვენ ყოველთვის ვიცავდით კანონებს, დავიცავთ კიდეც მტკიცეთ, მაგრამ კანონიერება და სამართლიანობა გვწამს მთელი ერისათვის და არა ერთი რომელიმე პარტიისათვის.

დერბენტი იწვის.

21 სექტემბერს ღამით დაღესტნელები ბრძოლით შეიჭრენ დერბენტში. ქუჩებში სისხლისმღვრელ ბრძოლის შემდეგ ქალაქის ზედა ნაწილი დაკავებულ იქნა რუსის ეკლესიამდე. 22-ს დილით ყაზახებმა დაიხიეს ნაპირისკენ, ჩაჯდენ ნავებში და გაეშურენ გემებისაკენ. დილის 10 საათზე მოხალისეთა ყველა გემებიდან დაუშინეს ქალაქს. ცეცხლის გამჩენ ყუმბარებით დერბენტი დასწვეს სხვადასხვა ადგილს. ახლა დერბენტი წარმოადგენს ცეცხლის ზღვას. სროლა გრძელდება, შიშით შეპყრობილი მცხოვრებნი ქალაქიდან გარბიან.

რუსეთში.

ადმირალ კოლჩაკისა და გერმანიის მოლაპარაკება.

გაზეთი „ანკტულა“ ორგანო ლიტვის მთავრობისა კოვნოში, იძლევა ახალ დეტალებს რუსის გენერალ ლივენსა და გერმანიის მთავრობის მოლაპარაკების შესახებ. ეს მოლაპარაკება შედეგია გერმანიის იმ ცდებისა, რომელსაც გერმანია ღებულობს, რომ შევიდეს მჭიდრო ურთიერთობაში ადმ. კოლჩაკთან და სხვა ანტიბოლშევიკურ მთავრობებთან, რომ ამით უზრუნველყოს თავისი მომავალი გავლენა რუსეთზე.

კოლჩაკის მისია ბერლინში.

ბერლინელი „ნოკალ ანცაიგერი“ იტყობინება, რომ ბერლინში ჩავიდა მისია ადმირალ კოლჩაკის მთავრობიდან.

ფინ და ვაჭრობა-მრეწველობის საბჭოსა.

თბ. ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატთა საბჭომ მიართვა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ვრცელი თხოვნა. საბჭო უთვალისწინებს

რა მინისტრს დამფუძნებელ კ[illegible] კანონის ძალით შეწყვეტილ[illegible] რო გადასახადის სიდიადეს რომ[illegible] 25 [illegible] მინისტრს, რომ არავითარ შუამ[illegible] მლობამ აღძრულმა სხვა და სხვა[illegible] წესებულებებში ამ გადასახადის [illegible] ცირების შესახებ არ გასჭრა [illegible] ხელმწიფოს ამის გამო მოაკლ[illegible] დიდი. შემოსავალი ვინაიდან ვა[illegible] ბა-მრეწველობა ისედაც დიდ კრ[illegible] განიცდის. საბჭო დასასრულ [illegible] თხოვნისა სთხოვს მინისტრს [illegible] დგომლობა აღძრას დამფუძნ[illegible] კრების წინაშე რათა სასანიტ[illegible] გადასახადი შემცირებულ იქმნეს [illegible] პროცენტით მაინც, რომელიც [illegible] ნიკურად შეიძლება მოაკლდეს [illegible] ველ გადამხდელ აღნიშნულ გა[illegible] ხადისას.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღესასწაულის გამო ჩვენი [illegible] ზეთის შემდეგი № გამოვა სამშ[illegible] 30 სექტემბერს.

ხელის მომწერლების სა[illegible] რადღებოდ. კვირას ჩვენი გაზ[illegible] ხელის მომწერლებს დაურიგდ[illegible] გაფრთხილების ფურცელი, რ[illegible] ლიც უნდა შევსებულ იქნეს [illegible] რედაქციას დაუბრუნდეს.

25 სექტემბერს ქუთაისის სა[illegible] როების დარბაზში მოხდა ქუთაი[illegible] ხონის-სამტრედიის რკინის გზის [illegible] ვშირის წევრთა კრება (კერძო [illegible] თბილისი). მიმღებ კომისიაში კრ[illegible] აირჩია ლ. გრიგოლია, ი. ქუთა[illegible] ლაძე და ალ. ჯაფარიძე. თბილი[illegible] საქმეების მოგვარება დაევალა [illegible] კილაძეს.

სიბნელე. ქუთაისის ბ[illegible] ქუჩები ღამ-ღამობით არ ნათდ[illegible] რის გამოც მცხოვრებლები ძა[illegible] შეწუხებულნი არიან.

საბჭოს დადგენილება. [illegible] თაისის ქალაქის საბჭომ 25 სექ[illegible] ბერს დაადგინა: თვითმართველ[illegible] სთან არსებული სასურსათო [illegible] ყოფილება დატოვებულ იქნეს, [illegible] დაიდვას ქალაქის გამგეობის [illegible] როდან სპეციალური თანხა სურ[illegible] სანოვაგის შეძენის საქმის მოს[illegible] რებლათ, მოხდეს რეორგანიზ[illegible] ქალაქში არსებული ყველა [illegible] სასურსათო კომიტეტების.

სანოვაგის ფასები. [illegible] ქუთ. ბაზარზე ფუთი სიმინდის [illegible] ლი ფასობდა 130 მ., ყურძენი [illegible] —140 მ., თხილი 80 მ.

მომარაგების სამმართვ[illegible] გაზეთებში მოთავსებული ცნობ[illegible] მარაგების სამართველოს დაშლ[illegible] სახებ მართალი არ გამოდგა. [illegible] თველოდან გასულა მხოლოდ მ[illegible] მოქმედების მინისტრი—ხომერ[illegible]

ოქმები. სანიტარულმა რ[illegible] სანიტარული წესების დარღვევ[illegible] ვის ოქმები შეუყენეს შემდეგ პირ[illegible]

...ნიკო ბრეგაძეს, მიხეილ გოგოლა-...ილს, მეირა რიჟინაშვილს, დავით ...ერიას, მარიამ ჩხეიძისას, სილი-...ტრო ქუთათელაძეს, ოლღა ი...ანს, გრიგოლ ჩაჩავას, მათე ...ელაშვილს, აბრამ თავდიდიშ-...ლს, ანა ელიგულაშვილს და გაბ...ელ ბუზიაშვილს.

...ტარა ფელეტონი.

მატარებელში.

...ეპეშათა სააგენტო და პრეს ბი-...ოც ზედმეტი ბარგია ჩვენი დე-...ტატიისათვის!..

...ატარებელი, კეს ნაბიჯით, რომ ...ჭრის და მოქანცულ ქალივით, ...ომ გაჭკივის, ცენტრია ყოველგვა-...ი ცნობების გავრცელებისა.

...ერთის ნაამბობს მეორე ავრცე-...ებს, მეორესას მესამე და ამ რი-...ად ყოველგვარი ცნობები ელექ-...ონის სისწრაფით ვრცელდება.

...ომ დღეს მეც მოვხვდი მატარებე-...ში. ძლივს ადგილი ვიშოვე და ...ულ აკრილ სკამზე ჩამოვჯექი.

...ვაგონი მგზავრებით იყო გაჭედი-...ი.

...ადიანათ ამათვალიერეს და განა-...ეს:—

...ხო იმას ვამბობდით. ქალაქში ...ოდი სიცხეები უნდა იყოს, თორემ ...ბომერიკია თუ ვიღაცა ასეთ კა-...ნებს არ გამოსცემდა.

...გზავრებია ყური წამოცქვიტეს. ერ-...ი სუფთად ჩაცმული გლეხი (ეტ-...ბოდა მემამულე უნდა ყოკილიყოა ...ოიჭრა და შეეკითხა:

— რაიო! შვიდ დესეტინიან ნორ-...ეც ხომ არ აუქმებენ?!.

— შვიდ დესეტინას თქვენი ჭი-...წაულია, რაც წაგვართვეს ისიც ...ოიხმარეს, მაგრამ ეხლა ახალი ...ონი გამოუციათ.

— როგორი კანონია, როგორი? ...წამოიჭრენ ფეხზე გლეხები.

— როგორი არის? სოციალისტუ-...ი. ისეთი კანონი არის რომ ამის-...გვარი, ცხონებულ ბაბუაჩემსაც არა-...ერი ახსოვს.

...ი საქმე რაშია: სახლში, ყანაში ...თვი რომ მოგიხტეს, შენი შეჭმა ...ომ მოინდომოს და მოკლა,-მთავ-...ობა ორმოცდაათ მანეთს გადაგახ-...ევინებს

— რას ამბობ კაცო, რას ამბობ!. ...ეს დათვებმა უნდა შეგვჭამოს? კი ...ციალისტები კი ყოფილან ასეთი ...ონის დამწერნი!..

— ეს კიდევ არაფერი.

— როგორ თუ არაფერი. შენც ...ეწყრა ღმერთი, გასოციალისტდი?

— მოიცა კაცო, მოიცა; ჯერ ...ხარ. ქორი ყვავი, ჩხიკვი, ან ...ია რომ მოკლა ას მანეთს გადა-...ევინებენ. თევზი რომ ბადით ...ეჭირო, ათი თუმნით დაგაჯარი-...ებენ ერთი ფუთი მოცვის ფოთო-... რომ მოკრიფო ამაშიდაც ას ...ანეთს მოგთხოვენ.

არტემიდა.

სონეტი ლენორას.

შენი თვალები კუდიანის ჯადოს ფარავენ.
მათ გადმოხედვას ვარსკვლავები ენარნარება.
მაშინებს ხალხში გაღიმებით შენი გარება.
ასე მგონია: ჩემს სიყვარულს მოიპარავენ.

მინდა იქ მყავდე: —სადაც გნახავს მხოლოდ არავინ!
სადაც ბავშვივით დაგაძინებს ღამის მთქნარება
ტყე, მთა, ირმები და ლაჟვარდი, —თუ გეყვარება, —
მზად ვარ, ძვირფასო, აგიფოთლო ღმერთთან კარავი!

ჩვენი სალამო სურნელია ხრიზანტემიდან.
ვხედავ მთვარიდან გადმოეშვა ცის არტემიდა.
მიჰქრის მწევრებით სანადიროთ, როგორც გრიგალი.

ვიცი შენც წახვალ! გზა გეშლება ვარდის ტევრებათ.
დაგედევნება არტემიდას ერთგულ მწევრებათ: —
ჩემი სონეტი, ჩემი რონდო და მადრიგალი!

შ. კარმელი.

დავილუპეთ, რაც არ უნდა ჰქნათ ყველაფერში ფულს გადაგახდევინებენ.

— ეს პროვოკაცია არის, პროვოკაცია, შენ ბებერო ეხლავე დაგიჭირავ, ციხეში ჩაგსვამ, მოგკლავ, გაგაქრობ, — დაიწყო ყვირილი იქვე მსხდომმა შავ ბლუზიანმა, თმა გრძელა ყმაწვილმა.

ეტყობოდა ს.-დ. პროპაგანდისტი უნდა ყოფილიყო!

— მოიცა შვილოსან, მოიცა, დაწყნარდი. მე ვარ პროვაკატორი?! მაშ ეს გაზეთი რაღა ჯანდაბაა?!

— უჰ: უჰ.. უჰ. გაზეთშიდაც ყოფილა? დავილუპეთ. მართალი ყოფილა, - წამოიძახა მთელმა მატარებელმა.

— იცით რა? წამოდგა ერთი გლეხი.-სოციალისტები ჭკვიანი ხალხია. ამ კანონით უნდათ ჩვენ ალარაფერი არ გავაკეთოთ. დავჯდეთ, გულს ხელი დავიკრიფოთ, გავსაწყლდეთ, გავპროლეტარდეთ, მათი ღმერთი ვიწამოთ და ბოლოს სოციალიზმს მხარი დაუჭიროთ.

— უჰ... უჰ... უჰ... წამოიძახა მთელმა ვაგონმა, შავ ბლუზიანს მივარდენ.

მატარებელმა იკივლა. შეჩერდა. მე მივახწიე დანიშნულ ადგილას. რა მოხდა იქ შემდეგ არ ვიცი.

ისკანდერ ბეგ.

გაფიცვები ევროპაში

(საბჭოთა რადიო)

ბრემენში ნავთსადგურის მუშები და მეზღვაურები გაიფიცნენ. გაფიცვები ჩრდილოეთის ზღვის მიდამოებსაც მოედო.

ჰამბურგში დაიწყო უკვე გაფიცვები.

ტორნის ოლქში სასოფლო სამეურნეო მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

საფრანგეთის მთავრობის რადიო იუწყება, რომ ამერიკაში და ინგლისში გაფიცვები დაიწყო. პარიზის გაზეთი „ჰუმანიტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის 1 სამხრეთ რუსეთში მყოფი პოლკი საშინელ მდგომარეობაშია და უარი განაცხადა ბოლშევიკებთან ბრძოლაზე.

იტალია

(იტალიური რადიო)

ამირბარი კანი

რომიდან იუწყებიან, რომ ამირბარ კანიის, რომელიც საზავო საკითხებზე მოხსენების წარმოსადგენად დაიბარეს, საუბარი ჰქონდა ნიტტისთან და კაბინეტის სხვა წევრებთან. ნიტტი აგრეთვე ხანგრძლივად ესაუბრა გენპეპინო გარიბალდის. „მესაჯერო“ იუწყება, რომ კანი ინიშნება ადრიატიკაში მყოფ იტალიის საზღვაო ძალების სარდლად.

მიწის ძვრა აკონიაში

ანკონიდან იუწყებიან, რომ დღეს დილით შეჩნეულ იქმნა ძლიერი მიწის ძვრა, რომლის წინაც ყრუ ხმაურობა გაისმა. მცხოვრებში ამან დიდი პანიკა გამოიწვია, მაგრამ უბედურება არ ყოფილა.

იტალიელი ელჩი პარიზში

იტალიელთა პარიზის ახალშენმა სექტემბრის 20 ს ბანკეთი გაუმართა პარიზში მყოფ იტალიელ მხედრებს. ელჩმა (გვარი გაუგებარია) წარმოსთქვა მამულიშვილური სიტყვა, რომელიც იქ დამსწრე ფრანგებმა დიდ ტაშისკვრით დაფარეს.

იტალიელი მფრინავები ვარშავაში

ვარშავაში მთავრობა დიდი ზეიმით შეხვდა იქ ჩამოსულ იტალიელ მფრინავებს, რომელნიც რომიდან ვარშავაში გადაფრინდნენ. ზეიმის სახსოვრად თვითეულ მფრინავს ოქროს მედალი გადასცეს. გამოირკვა იტალია პოლონეთის საუკუნოებრივ მეგობრობის გრძნობები. ზეიმს დაესწრნენ: მთავრობის წევრნი, მრავალი სამხედრო პირი და სამოქალაქო მოხელე, იტალიის წარმომადგენელი მარკიზ გორიკანტე, პოლკოვნიკი ფრანკლინი და დიპლომატიურ კორპუსის წევრნი.

უცხოეთის ამბები.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

200,000 ჯარისკაცი სომხეთის თვის

პრეზიდენტ ვილსონს ერთ თვის სიტყვაში უთქვამს, რომ ინგლისმა მოსთხოვა ამერიკას 200,000 ჯარი სომხეთისთვის. („ჰაკაფ“).

სომხებს მოძრაობა ზანგეზურში

ზარგეზურის მაზრაში სომხებს ახლათ კიდევ მოძრაობა დაუწყიათ. აწუხებენ მაჰმადიანებსაო.

(ბაქ. გაზ. „ჰურბიეთი“)

არნოლდის განცხადება.

ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენელს სტამბოლში, არნოლდს გაზეთების რედაქტორებთან საუბრის დროს უთქვამს შემდეგი: „სამი თვის განმავლობაში ამერიკა თავის ჯარებს გაგზავნის სომხეთს, რადგან ინგლისელმა ჯარებმა უნდა დასტოვონ ამიერ-კავკასიის საზღვრები. ამერიკამ უნდა მიიღოს მანდატი სტამბოლზე და დედაქალაქის მმართველობისთვის ორი წლისთვის საკმარისი იქნებაო 100,000 ამერიკელი სალდათი.

წერილები დედა ქალაქიდან.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

(დასასრული იხ. გაზ. „ჩვ. ქვეყ“. № 161)

უკნო ელემენტი, რომელიც ასეგრავლათ ბუდობს თბილისში უმთავრესათ დაინტერესებულია მხოლოდ ერთით; როგორმე ავნოს ჩვენს სახელმწიფოს და რაიმე ზიანი მოუტანოს ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს. ამ მიზნით ისინი მრავლად ავრცელებენ პროვოკაციას და უსირცხვილო დემაგოგიით სურთ თავის ღვარძლიან ზრახვების განაღდება. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ საქმეს პირნათლათ ემსახურებიან ის ყვითელი ფურცლები, რომელნიც მრავლათ გამოდიან თბილისში რუსულ ენაზე.

მოგეხსენებათ, რომ 13 სეკტემბერს თბილისში ყუმბარით დასჭრეს გენ. ბარათოვი და ოდიშელიძე, ერთმა ასეთმა ყვითელმა ფურცელმა, სახელდობრ „новости дня“-მ ეს ამბავი პროვოკაციათ გამოიყენა, გაზეთმა განგებ გვერდი აუხვია იმას, რომ ბარათოვთან ერთად დაჭრილი იყო ჩვენი ჯარის ერთი საუკეთესო სარდალთაგანი გენ. ოდიშელიძე და მეორე დღეს თავის ფურცლებზე მსხვილი ასოებით მხოლოდ გენ. ბარათოვის დასჭრის ამბავი მოათავსა.

მკითხველი უთუოდ მიხვდება თუ რისი თქმა უნდოდა ამით გაზეთს.

ჩვენ ეხლოდ ერთი რამ გვიკვირს, ჩვენი მთავრობა მხოლოდ ქართულ რედაქციებზე ხმარობს თავის ძალას, რუს სომეხ შავრაზმელების პროვოკაციულ გამოსვლებს კი იგი ხანდახან ყურადღებას არ აქცევს.

***

ინგლისელების წასვლა თბილისს დაეტყო! როგორც კი გავიდა ინ-

გლისურ ჯარების უკანასკნელი ეშელონი თბილისიდან, სპეკულიანტებმა დრო იხელთეს და ფასებს აუწეს: მაგ. შაქარი 17 მან: უცბათ 22 მან. გახდა, ასანთმა კი 1 მან. 1 მ. 50 კ. აიწ ა.

სპეკულიაციის მხრივ თბილისი მართლაც უბადლო ქალაქია. ერივანის მოედანი სპეკულიანტების ბირჟაა აქ იბმება „უმ იავრესათ“ ათასგვარ კომბინაციების კვანძები; უმთავრესათ კი ეს კომბინაციები უილბლო ქართულ საინტენდანტოდან დატაცებულ საქონელზე შენდება. არ იქნა, არაფერი ეშველა საინტენდანტოს დაცვის მოწყობას, ის ისევ საწველ ფურათაა მიჩნეული ყოველ გამვლელ-გამომვლელისთვის.

ინგლისელებმა ერთი საუცხოვო ცხოველები დაგვიტოვეს, ეს მათი ჯორებია. ჩვენს უცხენო რესპუბლიკისთვის ასეთი ღონიერი და ამტანი ცხოველები მართლაც დიდ საგანძურს შეადგენს, მაგრამ ვშიშობთ მათ იგივე დღე არ დაადგეთ, რაც გერმანულ ცხენებს დაადგათ.

***

აკედემიური წლის მოახლოვებამ ბევრი სტუდენტობა მიიზიდა თბილისმა. თბილისი, ცენტრია არა მარტო საქართველოსი, იგი გონებრივ ცენტრათ შეიქმნა მთელი ამიერ-კავკასიისთვის. ამიერ-კავკასიის ყოველ კუთხიდან ისწრაფიან სტუდენტები თბილისში, რო აქ მიიღონ უმაღლესი განათლება და მერმე მცოდნე დაუბრუნდენ თავის სამშობლოს. ეს კი იწვევს სტუდენტურ ძალებით ავსებას-თბილისისას, რაც თავის-ებრივ ბინის კრიზისს ქმნის.

ძალიან გაჭირდა ოთახის შოვნა; თუ სადმე იშოვება პირდაპირ ზღაპრული ფასები აქვს: ერთი ოთახის ფასი 400 500 მან. აღწევს ქალაქის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში სტუდენტთა გაჭირვება უბინობით გამოწვეული, გადასწყვიტა დაეხმაროს მათ სადმე საერთო სტუდენტურ საცხოვრებელის (общe житiе) მოწყობით. როგორც გადმოგვცემენ ასეთი ბინა მალე მოეწყობა, სადაც ადგილი მიეცემათ მხოლოდ უბინო სტუდენტებს. რაც შეეხება ქართული სტუდენტობის ცხოვრებას და მის საქმიანობას,, ჩვენ ამაზე ცალკე გვექნება წერილი.

მარკიზ სპანიოლი

იძულებითი პასუხი

ბ-ნ ბ. კაკიტელაშვილს.

თქვენი „მუქარის“ წერილს „ხმა ებრ“. № 15-ში მე სერიოზულ მნიშვნელობას არ ვაძლევ; მაგრამ მიიღებთ — რა მხედველობაში იმ ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ჩემი საპასუხო წერილის დაგვიანება გაზ. „სოც.-დემოკრ.“ში, (რასაც თვით ხსენებული გაზეთის რედაქციაც აღნიშნავს), — გაფრთხილებთ შეიკავოთ თავი და ელოდოთ პასუხს.

„ხამი“.

მუსიკალურ სასწავლებელი.

(კრების გამო).

ხუთშაბათს, ენკენისთვის 25-ს, მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში“ შესდგა მუსიკალურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

მუსიკალურმა სასწავლებელმა მოქმედება დაიწყო იანვრიდან. ყველა ხალისით აბარებდა შვილს იმ იმედით, რომ ბავში მუსიკალურად განვითარდებოდა. როგორც ახლად დაწყებულ საქმეს, აუცილებლად ბევრი ნაკლი ქონდა და ერთი მოწაფის არ იყოს საქველმოქმედო საზოგადოებას გავდა.

შეტანილი ფული არ ეთანაბრებოდა შეძენილ ცოდნას. მაშინ გულის ტკივილით ხელს ვაფარებდით ყოველივე ნაკლს იმ იმედით, რომ მომავალი გამოასწორებდა. მასწავლებელთა შემადგენლობიდან ბევრი არა სასურველი იყო: როგორც არა მცოდნე სამასწავლებლო საგნის. მცირე წლოვან ბავშს უფრო მეტი ფაქიზი და ფრთხილი მოპყრობა უნდა, რომ რომ შეაყვარო თავიდანვე საგანი. ეს კი მიღწეულად ჩაითვლება მაშინ, როცა თვით მასწავლებელია სპეციალისტი და ინსტრუმენტის უმაღლეს წერტილამდე მცოდნე. ეს უმთავრესად ითქმის ვიოლონზე, რომლის სწავლასაც განაგებდენ ისეთები, რომელნიც ჯარისკაცთა სამხედრო ორკესტრებს არ მოსცილებოდენ. პირველ დაწყებითი ახსნა განმარტება ინსტრუმენტის შესახებ ედება საფუძვლად შემდეგ სწავლის განგრძობას.

ჩვენთვის არც ისე მოსაწონი იყო ნაჩქარევი კონცერტი, ქალაქის თეატრში მოწყობილი, როცა საცოდავი ბავშები საკრავის მახინჯი და უცოდინარი დაკვებით ისპობდენ თავის მომავალს. იყო სხვა უხერხულობაც ზოგიერთების მოქცევით გამოწვეული, მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც ვსთქვი, ძალაუნებურად იფარებოდა.

ხუთშაბათის კრებამ ყველა ეს თავის უყურადღებობით დაამტკიცა ⁄ ⁄ ⁄. მუგუზალი გადაისროლა. ყოველ შემთხვევაში კრების მეტს ყველაფერს გავდა, სადაც ოხუნჯობა დიდ სარბიელს პოულობდა და მუშათა საბჭოში უცაბედათ შემოსული „ამხანაგები“ მონაწილეობას იღებდენ მუსიკალურ სასწავლებლის გამგეობის არჩევნებში. საკითხის გადაჭრის დროს უმეტეს შემთხვევაში ირკვეოდა, რომ თავშეკავებულნი ორჯერ-სამჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობის მიმღებნი. საკითხი დადებითად წყდებოდა. თავმჯდომარე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ორს მიუმატოთ ერთი იქნება სამი! უძრავი ქონების შეძენის კითხვაც ზემოაღნიშნული წესით გადაწყდა: მომხრე 5, წინააღმდეგი 4, თავს იკავებს 21.

კრებას მოხსენება გაუკეთა გამგეობის მაგიერ (რომელიც ვერ მოეძებნათ) სარევიზიო კომისიამ. ვალი აღმოჩნდა 45,000 მან. კასაში 4 მ. 50 კაპ.

სასწავლებელს ყავს 300 მოწ. ფასი 400 მან. სულ 120 000 მან. ნორმის მიხედვით ოც მოწაფეზე ერთი მასწავლებელი, სულ 16 მასწ. ჯამაგირი რომ ვიანგარიშოთ თვეში 750—1000 მანეთამდი და სხვა ხარჯებიც (განათება და სხვ.) სულ გასავალი 222,000 მან. დეფიციტი 102,000 მან. წლიურად. მათი ნაანგარიშებით გამოვიდა, რომ მოგება წლის ბოლოს ექნებათ 8000 მან. საიდან? „მთავრობა მოგვცემს ვაგონს. პროვინციებში მოვაწყობთ კონცერტებს, მოგვცემს 50,000 მ. სასწავლებელში მოწყობილი 12 კონცერტი კი 30,000 მან. და ასე ამ გვარად. გოგებაშვილის არ იყოს: „ამ კურდღელს მოვკლავ, გავყიდი“ და სხვ.

გამგეობის არჩევნების დროს დარბაზში 27—30 კაცი იყო. ნახევარი სასეიროთ მოსული, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას იღებდა. ნახევარზე მეტი არა წევრი. მუსიკალურ საქმეების მოწყობა და წესდებაში აღნიშნული სურვილები (კონსერვატორიები, სტუდიები, საოპერო დასი, ლიტოგრაფიის მოწყობა და სხვ.) უნდა შეასრულონ ისეთებმა, რომელთაც ოცნებათაც არ მოსვლიათ მუსიკალურ საქმეების განგება და არც არა ესმით რა.

სასწავლებელი იღუპება! შველა ეხლავე უნდა. ან უნდა დაიხუროს ან და მცოდნეთა ხელში ჩავარდეს. სრულიად ყურადღება არ ექნა მიქცეული საკრავებს, რომელნიც ქართული გიმნაზიიდან წამოიღეს. საჭიროა საკრავების რევიზია. სასწავლებელს განახლება უნდა.

გერცოგი.

კორესპონდენცია.

დ. საჩხერედან. ხალხის მიერ არჩეულმა ერობამ საადმინისტრაციო საქმენი ვერ მოაწესრიგა. ამ მხრივ მდგომარეობა უფრო უარესდება. კომისრები უპირველესად ყოვლისა უნდა იყვნენ აღჭურვილნი იმ მიზნით, რომ მთავრობის პრესტიჟი ასწიონ; ყოველი მათი მოქმედება უნდა იქნეს დაკვირვებული, რომ ის ჩვენი რესპუბლიკისთვის იყვეს არა იარაღათ პროვოკაციისა, არამედ უნდა ქმნიდეს ხალხში მთავრობისადმი სიმპატიას.

მაგრამ ასეთი მიზანი სიზმრათაც არ მოჩვენებიათ ზოგიერთ კომისრებს. აქ მოვიყვან ნიმუშათ უფრო ერთ ფაქტს.

ამ დღეებში ყვირილის ერობამ დანიშნა ჭიათურის ქალაქის კომისრად ვილაცა ნებიერიძე. რომელიც მოსვლისთანავე შეუდგა ხალხის ... ხვას და ლანძღვას სულ უმიზეზ... წასრულ ... ... ზარხოშ... ... ჭიათურაში თფილისიდგან მოს... აკაკი გიორგის ძე ხვიტია და კ... სარიატში მოყვანისთანავე კამ... შემოკრა მას სამი სილა და მ... მოსთხოვა ბილეთი, ხვიტიამ აჩ... კანონიერი საბუთი: მოწმობა ... ლის ტარებისა რომელიც ხელ... გამოსტაცა მას. მთავრობისაგან ... ცემული მოწმობა, ლანძღვა გინ... დახია და გადაყარა. ხვიტიამ შემ... პასპორტი აჩვენა და სთხოვა ეს მა... არ დაეხია.

პასპორტი თუმცა შეიბრალა, ... გრამ ხვიტიას სცემა, სანამ ხელება... დაელალა და მერმე ჩასვა ბნელ „კ... ცერში“ მეორე დღემდე.

მეორე დღეს კომისარმა დატუ... ლებულს შეურიგდა, აპურმარილა... გაუშვა. ასეთი თავგასულობა კო... სრებისა ჭქმნის ხალხში ანარქიას ... ამიტომ მოვითხოვთ ასეთ საქციე... მიექციოს დაუყონებლივ ჯეროვ... ყურადღება საგუბერნიო ინსპექ... საკან.

მეთვალყურ...

ოკრიბა. ოკრიბაში წელს მო... ვალს ცუდი პირი უჩანს. მუდმივ... ავდრებმა ვენახები მთლად გააფუ... ასე რომ ამ წელს ღვინის მოსავალ... სრულიად არ იქნება. ყანებიც მეტ... მეტათ ნაკლებია. უნდა ითქვას რ... არც ამ მხარეს ერთ წელიწადს ... დათესილა იმდენი ყანა, რამდენ... წელს დაითესა; არასდროს ოკრიბ... გლეხს არ უშრომია იმდენი, რ... დენიც წელს იშრომა. ასეთი გაო... კეცებული შრომის მიზეზი იყო ... რშანდელი შიმშილის გამოცდა. ... გრამ ბედმა უმტყუნა ჩვენებურ გ... ხებს და მომავალ წელს გაცილებ... მეტი შიმშილი და დაბეჩავება ... ლის ოკრიბას.

ვინ არ იცის რომ ოკრიბის ... ყველაზე უფრო ღარიბი კუთ... თითქმის მთელ საქართველოში. ... უსიმიდობის გამო შინაურ წვრ... ფეხს ნაკლებათ ზრდიან; რქიანი ... ქონელიც ძალიან ცოტა ყავთ საძ... ვრების სიძვირის გამო. ხეხილი ... რომელიც ცოტაოდნათ ვარგობს ... კლებათ საღდება ბიზრის სიშორ... გამო. ამრიგათ აქაური მცხოვრ... დიდ სიღატაკესა და გაჭირვებას ... ნიცდიან ძალიან კარგ წლებშია... რაღა თქმა უნდა რომ ნაკლებ ... საკლიან წლებში აქ ცხოვრება ... ტანელი ხდება. ოკრიბას წელს შ... შილი მოელის და ეხლავე თუ შ... მშილის წინააღმდეგ ზომები არ ... ნამიღებული, მცხოვრებლები უმწ... მდგომარეობაში ჩავარდებიან.

დიტო.

რედაქტორი — საერედაქციო კოლეგია.

სტამბა **ნ. ფერაძისა** და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.